# ხელშეკრულება № 15

cpv 30100000

ქ. გორი 25 მარტი 2011 წელი.

ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ №12 საჯარო სკოლა, მისი დირექტორის რუსუდან ლომიძის სახით, /შემდგომში „შემსყიდველი"/ და მეორე მხრივ, შპს „განათლება – ს" დირექტორის დ. სააკაშვილის სახით /შემდგომში "მომწოდებელი"/ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საფუძველზე, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს "შემსყიდველისათვის" "მომწოდებლის" საკანცელარიო ნივთების მიწოდება.

1.2. "შემსყიდველი" უკვეთავს, ხოლო "მომწოდებელი" იღებს ვალდებულებას, მოთხოვნისამებრ უზრუნველყოს "შემსყიდველი" ზემოთ აღნიშნული მომსახურებით.

## 2. საქონლის მიწოდების (მომსახურების გაწევის) წესი, ვადები და ღირებულება

2 წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის თანხა განისაზღვრის 700 (შვიდასი) ლარით. (ლარებში).

## 3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით,

3.2 მიწოდებული მომსახურეობის თანხის გადახდა იწარმოებს წარმოდგენილი სასაქონლო . ზედნადებისა ან მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე .

## 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. "შემსყიდველი" ვალდებულია სამუშაოს შესრულებისთანავე ეტაპობრივად გადაუხადოს "მომწოდებელს" კუთვნილი თანხა.

4.2. "მომწოდებელი" ვალდებულია, გაუწიოს ხარისხიანი და ოპერატიული მომსახურება "შემსყიდველს".

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 6. ხელშეკრულების პირობები ინსპექტირდება

6.1. "შემსყიდველის" წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოსკონტროლი "მომწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე

## 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან (25. 03. 2011 ) და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 8. ზოგადი დებულებები

8.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები და ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

8.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილი იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

8.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივე ტექსტს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

## 9. ფორს – მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეწყვეტა ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემკვეთისა და/ან მენარდეს შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა

9.3 „ფორს-მაჟორული" გარემოების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდემდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყვნებლივ უნდა გაუგზავნოს მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილებისა და შესაძლებლობის და მოხედვით აგრძელებ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულების შესრულებას და ცდილობს, გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 10. დავათა განხილვის წესი

10.1 მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები იმ შემთხვევაში თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას განიხილება სასამართლოს მიერ.

## 11. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი„

ს ს ი პ გორის №12 სკოლა

მისამართი: ნინოშვილის ქ. №54

სკოლის დირექტორი: რუსუდან ლომიძე

ბანკის რეკვიზიტები:

საიდენტიფიკაციო კოდი 218016769

სს „ლიბერთი ბანკი" გორის ფილიალი

ანგარიშის № GE82LB0121141252767000

ბანკის კოდი LBRTGE22

საკონტაქტო ნომერი 7-33-68

ხელმოწერა ------------------------------

ბეჭედი:

„მომწოდებელი„

შპს „განათლება'

დირექტორი დავით სააკაშვილი
საიდენტიფიკაციო კოდი: 417874376

სს „ტაოპრივატ ბანკი" გორის ფილიალი

ანგარიშის № GE08TP 0036020060019432

ბანკის კოდი CAVOGE22

საკონტაქტო ნომერი: 877 300 655 დავით
898 666 667 კობა

ხელმოწერა: ------------------------------

ბეჭედი: